მეოთხე ტაიმის დასასრულს

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 31 ოქტომბერი.

“ტორპედო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 4:3 (1:1, 3:3, 3:3).

“ტორპედო”: პოლიკანოვი, მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი, ვორონინი, მანოშინი, მეტრეველი, ივანოვი, გუსაროვი, ბატანოვი, სერგეევი (სავუშკინი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ჩოხელი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ცაპოვეცკი (კიევი).

საკავშირო თასის ფინალური მატჩი დაიწყო ყოველგვარი დაზვერვის გარეშე. აშკარა იყო მოწინააღმდეგეებს სურდათ თავიდანვე მოეპოვებინათ თუნდაც ის მინიმალური უპირატესობა, რასაც ხშირად მოაქვს გამარჯვება. ამას ერთგვარად მიაღწიეს კიდეც მოსკოველებმა, რომლებმაც პირველი 5 წუთის განმავლობაში რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს დინამოელთა კარს, მაგრამ თბილისელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

თბილისელი ფეხბურთელები თანდათან დაეუფლნენ მოედანს და მატჩის პირველი ნახევრის უკანასკნელი 25 წუთის განმავლობაში შეუნელებლად უტევდნენ “ტორპედოს” კარს და როგორც ეს ხშირად ხდება, პირველი გოლი საკუთარ კარში მიიღეს _ შეხვედრის 26-ე წუთზე საჯარიმო მოედანზე დაცემულ ხოჭოლავას ხელზე მოხვდა ბურთი, რომელმაც მიმართულება შეიცვალა. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა გუსაროვმა _ 1:0.

ზუსტად ერთი წუთის შემდეგ თბილისელთა თავბრუდამხვევი შეტევა ანგარიშის გათანაბრებით დამთავრდა. კალოევ-მელაშვილ-ბარქაიას იშვიათი სიზუსტით ჩატარებული კომბინაცია საპასუხო გოლით დააგვირგვინა თბილისელთა მარჯვენა შუამარბმა _ 1:1.

თამაში განახლდა. უპირატესობა კვლავ სტუმრების მხარესაა. ბარქაიას წინააღმდეგ ვერაფერს გახდა მანოშინი, ხოლო 50-ე წუთზე მელაშვილს ფეხიდან ააცალა ბურთი მეკარე პოლიკანოვმა. თბილისელთა ერთ-ერთი შეცდომის დროს ივანოვმა ზუსტად გაიყვანა გარღვევაზე გუსაროვი და... მოსკოველები კვლავ წინ გავიდნენ _ 2:1.

დაცვის შეცდომებს თავდაუზოგავი თამაშით ასწორებდნენ თბილისელი თავდამსხმელები. იამანიძე, ბარქაია, მელაშვილი ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს ტორპედოელთა კართან, სწორედ მათ მიერ თამაშის მოედნის ცენტრში გადატანის შემდეგ მესხმა იამანიძის ზუსტი გადაცემა ასევე ზუსტად გაუჭრა კალოევს, ამ უკანასკნელმა საჰაერო ბრძოლა მოუგო ოსტროვსკის და მეკარის პირისპირ დარჩენილმა ანგარიში ისევ გაათანაბრა _ 2:2. ორივე გოლი, როგორც ტორპედოელთა, ისე დინამოელთა მიერ გატანილი იქნა 3 წუთში.

დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, კიდევ უფრო აიწია თამაშის ტემპმა, გახშირდა თბილისელთა იერიშები, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები ისევ და ისევ არაზუსტი იყო. მეორე ნახევრის 23-ე წუთზე ივანოვმა, კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ბოლო ხუთ წუთში ისევ ბარქაიას ცდით თბილისელებმა ბურთი გადაიტანეს მოსკოველთა ნახევარზე, აქ იგი მიიღო მესხმა, რომელმაც ტორპედოელთა საჯარიმო მოედანზე გაგზავნა. საკმარისი გახდა შუსტიკოვის შეცდომა და მელაშვილმა ახლო მანძილიდან ისევ გაათანაბრა ანგარიში _ 3:3.

საჭირო გახდა დამატებითი დრო და იგი ისევ თბილისელთა შეუნელებელი შეტევებით გაგრძელდა, რაზეც ნათლად მეტყველებს მოსკოველთა კართან ზედიზედ მოწოდებული სამი კუთხური და მაშინ, როცა ეს საინტერესო, ნამდვილად დაძაბული მატჩი, რომელიც თბილისელებმა და მეკარე კოტრიკაძემ შესანიშნავად ჩაატარეს, დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ყველა ფიქრობდა, რომ ფეხბურთის გულშემატკივრებს ხელმეორედ მოუხდებოდათ აქ, ცენტრალურ სტადიონზე მოსვლა განმეორებითი მატჩის სანახავად, ყველაფერი წყალში ჩაიყარა. ჩოხელი არასწორად ეთამაშა ივანოვს, მისცა მას კარში დარტყმის საშუალება, კოტრიკაძემ დააგვიანა და ... 4:3.

მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

უკანასკნელ საათს

გუშინ, გვიან ღამით რედაქციას მოსკოვიდან დაუკავშირდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, რომელმაც აღნიშნული მატჩის ირგვლივ შემდეგი გადმოგვცა:

ფინალური მატჩის გამართვამდე ორი დღით ადრე თბილისის “დინამოს” ხელმძღვანელობამ, როცა ცნობილი გახდა, რომ ფინალური მატჩის ჩატარება დავალებული ჰქონდა უკრაინელ მსაჯთა ბრიგადას ცაპოვეცკის ხელმძღვანელობით, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას მიმართა თხოვნით შეეცვალა ფედერაციის მიერ შერჩეული ბრიგადა ლიტველთა ბრიგადით, რომელიც სჯიდა თბილისელთა ნახევარფინალურ მატჩს “შახტიორთან”.

ხანგრძლივი დავის შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება და ფინალური შეხვედრის ბედი ისევ ცაპოვეცკის მიანდო.

ცაპოვეცკიმ ამ დღეს თავი ისახელა არაობიექტურობით. ჩათვალა გუსაროვის მიერ აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი მეორე გოლი, ხოლო მაშინ, როცა ანგარიში იყო 3:3, მეკარის პირისპირ გასული იამანიძე ტორპედოელებმა საჯარიმო მოედანზე აშკარად მოცელეს, მან არ დანიშნა 11-მეტრიანი. ამ აღმაშფოთებელმა ფაქტმა მრავალათასიანი მაყურებლის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

დინამოელები ერთი თავით მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგესთან შედარებით და ცუდი მსაჯობის შედეგად დამარცხდნენ.

მატჩი გაპროტესტებულია.

“ლელო”, 1 ნოემბერი, 1960 წ.